

შეზღუდული შესაძლებლობების და სოციალური ჩამორჩენის
იდენტიფიცირების თავისებურებანი ქუჩასთან დაკავშირებულ
ახალგაზრდებში.

მარიამ გოჩაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.*

პროგრამა:

სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი. ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.

მარიამ გოჩაშვილი, 22 ივნისი, 2018 წ.

აბსტრაქტი:

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ქუჩასთან დაკავშირებული, შეზღუდული შესაძლებლობების და სოციალური ჩამორჩენის მქონე ბავშვების მდგომარეობა; შესწავლილია ის ძირითადი სირთულეები, რომლებსაც აწყდებიან, როგორც სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლები, ისე სერვისის მიმწოდებლები. კვლევის პროცესში აქცენტი კეთდება შემდეგ საკითხებზე: ხორციელდება თუ არა ამ ბავშვების სტატისტიკური აღრიცხვა და მათი მდგომარეობის მუდმივი კონტროლი; ხდება თუ არა სპეციალისტების მიერ მათი დიაგნოსტიკა; რა სახელმწიფო სერვისებით სარგებლობენ ქუჩასთან დაკავშირებული შშმ ბავშვები; შექმნილია თუ არა კონკრეტული მეთოდოლოგია, რომელიც გამოიყენება ამ ჯგუფის წარმომადგენლების, როგორც ფიზიკური, ისე მენტალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; არსებობს თუ არა დიაგნოსტიკური ბავშვებისთვის ადაპტირებული გარემო; რა მდგომარეობაა საგანმანათლებლო დაწესებულებებში და როგორ ხდება ამ ბავშვების ინკლუზიური განათლება; როგორია მომუშავე სპეციალისტების დამოკიდებულება უშუალოდ შშმ ბავშვების მიმართ და რამდენად აღწევენ იმ მიზნებს, რომლებიც აუცილებელია ამ ბავშვების მდგომარეობის სტანდარტების შესაფასებლად.

საკვლევი თემა დღევანდელ რეალობაში საკმაოდ აქტუალურია, რადგან ჩვენს ქვეყანაში მყოფი, ქუჩასთან დაკავშირებული შშმ ბავშვების მდგომარეობის შესახებ არსებული ინფორმაცია არ არსებობს, მაგრამ ფაქტია, ეს ბავშვები მრავლად არიან. თემაზე მუშაობისას გამოიკვეთა, რომ საქართველოში ქუჩის შშმ პირთა საკითხის შესწავლისადმი ინიციატივა არავის გამოუჩენია. კვლევის შედეგების მიხედვით ქვეყანაში ქუჩასთან დაკავშირებული შშმ ბავშვების რაოდენობა არც ისე დაბალია. სახელმწიფოს არ გააჩნია ამ კუთხით კონკრეტული მონაცემები და პრობლემის მოგვარების მექანიზმები. სამუშაოა სერვისის მიმწოდებლების ცნობიერების ამაღლებაზე და აუცილებელია შესაბამისი სტრუქტურების მიერ სწორი პოლიტიკის

წარმოება, ეფექტური შედეგების მისაღწევად. აღმოჩნდა, რომ ჩვენი კვლევა ქვეყანაში არსებულ, აქამდე შეუსწავლელ, საკმაოდ მნიშვნელოვან და საყურადღებო პრობლემას შეეხება, რომლის სათანადო დონეზე წარმოჩენაც ვფიქრობ აუცილებლობას წარმოადგენს.

ნაშრომი მოიცავს ქუჩასთან დაკავშირებული შშმ ბავშვების, როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური პრობლემების შესახებ არსებული ლიტერატურისა და ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიმოხილვას. დეტალურადაა განხილული აღნიშნული კვლევის მეთოდები, სირთულეები, შედეგები და ის ხელისშემშლელი ფაქტორები, რომლებმაც საშუალება არ მოგვცა, სიღრმისეულად შეგვესწავლა ქუჩაში აღნიშნული საკითხი. ნაშრომის ბოლო ნაწილი ეთმობა დასკვნასა და იმ ძირითად რეკომენდაციებს, რომლებიც პრობლემის შესწავლით მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით ჩამოვაყალიბეთ.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვი. შეზღუდული შესაძლებლობა. ინკლუზია. დიაგნოსტიკა. მენტალური. მეთოდოლოგია. ადაპტირებული გარემო.

Abstract

The present research deals with the condition of the street-connected children with limited capabilities. The main difficulties are studied, to which, both the target groups and the service providers are faced. An emphasis is made on the following issues: Whether the statistical accounting of these children and constant control of their condition are carried out; Whether their diagnostics by specialists is provided; What are the state services the street-connected children with limited capabilities are enjoyed; Whether there is a specific methodology designed to improve the physical and mental status of representatives of this group; Whether an environment adapted for diagnosed children exists; What is the situation in the educational institutions and how these children receive the inclusive education; What is the attitude of professionals working directly with the children with limited capabilities and how do they achieve the goals which are necessary for assessing the standards of conditions of these children?

The topic of study is quite relevant today, as the condition of the street-connected children with limited capabilities in our country is quite vague. While working on the topic, it was revealed that there was no initiative to study the issue of street-connected disable persons in Georgia. Thus, our research touches a very important and attentive problem that exists in the country but has not been studied duly, still. So, I think it is a necessity to present it on an appropriate level.

The work includes review of the literature on the physical and mental problems of the street-connected children with limited capabilities, as well as the results of the conducted research. The methods, difficulties, results of the research as well as factors, which created obstacles to us in a deeper study of the street-connected children with limited capabilities, are reviewed in details. The last part of the work is focused on the conclusion and the main recommendations we have set out, based on the results, obtained from the study.

Key words: *Street-connected child. Limited capability; Inclusion Diagnostics; Mental; Methodology; Adapted environment;*